

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

— აგვისტო, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.№82-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.№82-ში მდებარე 671,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.26.02.148).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების - ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილის ქ.№82-ში მდებარე 671,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.05.26.02.148) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგამისათვის თანასაკუთრებაში გადაცემა იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ბადრი სოლომონიძე და თინა ჩოგამე მათ თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებას - ქალაქ ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ.№2-ში მდებარე 271,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს.კ. 05.25.05.027) უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას შემდგომში, მისი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით;

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგამისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად თანასაკუთრებაში გადაცემა, თინა ჩოგამის და ბადრი სოლომონიძის მიერ მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ.№2-ში მდებარე 271,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.25.05.027) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა და შემდგომში მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოცემა.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

2. ეთხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქ ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №82-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
- ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 19 ივლისის N 3490/02 (N07-1421200291-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 12 ივლისის N14-1421193752 კორესპონდენციის თანახმად, მოქალაქე ციური ჩოგაძის მიერ 2011 წლის ოქტომბრის თვეში აუქციონის წესით შეძენილ იქნა ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. N2-ში (დღეისათვის გალაქტიონ ტაბიძის ქ. N2) მდებარე 271 კვ.მ. (ს.კ. 05.25.05.027) მიწის ნაკვეთი, რომელიც ამჟამად ირიცხება ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძის თანასაკუთრებაში. ამასთან, 271,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სახლის მშენებლობის მიზნით გაცემულია მშენებლობის ნებართვა (მშენებლობის ნებართვა - 2017 წლის 29 მაისი N002483). მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №05.25.05.029) არსებული საცხოვრებელი სახლის მაცხოვრებლები (ბ.მ.ა. „მეგობრობა 2010“) ითხოვენ აღნიშნულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობას და ეწინააღმდეგებიან მშენებლობის განხორციელებას. ტერიტორია გამწვანებულია, მასზე მოსახლეობის მიერ აღმართულია ჯვარი. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ქ. ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2-ში მდებარე 271,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.25.05.027) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ სხვა მიწის ნაკვეთთან მონაცვლეობის საკითხი, რისთვისაც შერჩეული იქნა ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №82-ში მდებარე 5288,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.26.02.061) ნაწილი.

ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს ჩართულობით, შპს „აჭარსპეცპროექტი“-ს მიერ განსაზღვრული იქნა ქ. ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2-ში მდებარე 271,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №05.25.05.027) გაცემული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული სახლის მშენებლობისათვის ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №82-ში მდებარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5288,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 05.26.02.061) ახალი სამშენებლო კანონმდებლობის მიხედვით საჭირო მიწის ნაკვეთის ოდენობა, რამაც შეადგინა - 671,0 კვ.მ შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა 5288,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 671,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფა და ცალკე საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია (ს.კ.№05.26.02.148; ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №82).

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არ არის უფლებამოსილი განახორციელოს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მონაცვლეობა. აღნიშნული გარემოების გამო და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №82-ში მდებარე 671,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.№05.26.02.148) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში მისი ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძის თანასაკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, გალაქტიონ

ტაბიძის ქ. №2-ში მდებარე 271,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან (ს.კ. 05.25.05.027) მონაცვლეობის მიზნით.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ზემოთ მითითებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.26.02.148) შემდგომში, მისი ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს.კ.№ 05.25.05.027) მონაცვლეობის მიზნით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თვლის, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდეს პირობებით:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძისათვის საკუთრებაში გადაცემა, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2-ში მდებარე, ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძის თანასაკუთრებაში არსებული 271,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ.№ 05.25.05.027) დარეგისტრირდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გადმოეცემა საკუთრებაში.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მისი პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძისათვის თანასაკუთრებაში გადაცემა, ქ. ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2-ში მდებარე, ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძის თანასაკუთრებაში არსებული 271,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.№ 05.25.05.027) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში დარეგისტრირება და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსათვის საკუთრებაში გადმოცემა.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს მისი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. N82-ში მდებარე 671,0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში ბადრი სოლომონიძისა და თინა ჩოგაძისათვის თანასაკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით. ბადრი სოლომონიძის და თინა ჩოგაძის თანასაკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №2-ში მდებარე 271,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ.№ 05.25.05.027) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში მიღება და მისი შემდგომში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტზე გადმოცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე